# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ მან. |
|---|---|
| მთლის წლისა — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

**პირველი წელიწადი**

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანი ქუჩაზედ, თ. მებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 12. სამშაბათი. I. 21 მაისს 1868 წ.

**შინაარსი:** ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე.—რანაირათ შეიტყობა ნიადაგის სიკეთე და რა გვარია მიწა.—ყეანა, ანუ მუცელში ფაღარათობა.—იხვის მოშენებაზე.—საწამლავი და იმის თვისება.—სამეცნიერო ამბები.—არითმეტიკა.

## ორიოდე სიტყვა სოფლის ახალ მოხელეების ამორჩევაზე.

ამ გაზეთის წასულ კვირის წინა ფურცელში მოვილაპარაკეთ, რომ ახალი კანონების კარგათ ასრულება თვითონ სოფელზედა ჰკიდია და კარგი მოხელეები არიან სოფელში თუ ცუდები ეს სოფლის ბრალია. ამისთვის სოფელმა კარგა ფრთხილათ უნდა ამოარჩიოს მოხელეები, რომ მერე სავაგლახო აღარ გაუხდეთ მთელი სოფლის საქმეცა და სათითაოთ ყველა გლეხის საქმეცა. ამასთანავე მოვიტანეთ კანონის დებულებაცა თუ როგორ უნდა მოახდინონ ამორჩევაცა.

ეხლა ჩვენ დაწვრილებით უნდა მოვიხსენოთ რა და რა მიზეზისაგან მოხდება, რომ კარგ მოხელეებს ვერ არჩევენ ზოგიერთ ადგილასა.

აი ვთქვათ სოფელში მოვიდა მოხელეების ამორჩევის დრო. გლეხობა რასაკვირველია კაცებს ეძებს. ხალხი ეძებს გამოცდილ, მცოდნე, კაცებსა. გამოცდილები ძველი მოხელეები არიან. ზოგნი ეჭვობენ იმათ ამორჩევაზე რადგანაც ადრე ის მოხელე უკანონოთ იქცეოდა და ქრთამს იღებდა ან უსამართლოთ ირჯებოდა, ამას რასაკვირველია ყველა სოფელზე და ყველა მოხელეებზე არ ვამბობთ რომ ასე უკანონოთ ირჯებოდნენ, მაგრამ ზოგგან ყოფილან: ამათ ამორჩევაზე ზოგი თუმცა თანახმა არ არის მაგრამ იძახის ეჰ რავქნათ გამოცდილი კაციაო. ამასთანავე შეიძლება მოხდეს რომ ამისთანა მოხელემ ზოგი გლეხიც მიიმხროს, რადგანაც ჯიბის გამსება უნდა უსამართლოთა და უკანონთა.

აი ამას არ უნდა დაჰყვნეთ, სოფლის ჩვენი გლეხები. გამოცდილება საქმისაგან არის, სულ ახლათ ამორჩეული მოხელე ჭკვიანი და მართალი კაცი მალე გამოიცდება, ამას ფიქრი არა აქვს. თავის საქმეს მალე შეიტყობს და თუ ჭკვიანი და სვინიდისიანი კაცია, უფრო კარგათ შეიტყობს, უფრო მალე გამოიცდება. ძველ გამოქნილ უკანონო მოქრთამე და უსამართლო კაცებს დავეხსნათ, თავი დავანებოთ, თორემ თავის დღეში ჩვენ ვაგლახს ვერ გადავრჩებით.

ძველ ავ კაცებს რომ თავს ვანებებთ, ახალ კაცების ამორჩევაზედაც ფრთხილათ უნდა ვიყოთ. ზოგ ახალ კაცებს იქნება თითონ უნდოდეთ, რომ მოხელეთ ამოარჩიოს სოფელმა, იმ ფიქრით რომ სოფლის საქმეები ხელში მექნებაო და ჯიბეს კარგა ავიმსებო. ამისათვის იქნება მომხრე კაცებიც იშოვნოს გლეხებში, დააჯეროს, რომ მე პატიოსნობით სიმართლით და უქრთამოთ გავაკეთებ საქმესაო კანონიერათ მოვიქცევიო. ამისთანა კაცებსა უნდა ერიდოს სოფელი, ამიტომ რომ რაკი მოხელეობას დაიწყებს, იქნება ძველ უსამართლო მოხელეებს გადააჭარბოს. ამ გვარათ ხალხი მოტყუვდება და ამისაგან არის კიდეცა, რომ ზოგ სოფელში იძახიან, ვინც უნდა დავაყენოთ მაინც თავისას არ იშლიან, უსამართლოთ და უკანონოთ ირჯებიანო, აი ამიტომ კიდეც ამაზე სიფრთხილე უნდა ახალ კაცების ამორჩევაზე.

კაი კაციეთ ლაპარაკი ყველას შეუძლია, ქურდსაც, კაცის მკვლელსაც მოქრთამესაც, უსამართლოსაც, ქვრივისა და ობლის დამჩაგვრელსაც, ღარიბის თავში მცემელსაც, მაგრამ, საქმე ის არის, რომ მანამ კარგა არ შევიტყოთ იმის კაი კაცობა, იმისთანა კაცს არ უნდა დავუჯეროთ, არ უნდა მოვტყუვდეთ.

სიფრთხილე და სიფრთხილე გვმართებს. სანთლით უნდა ვეძებოთ და ვიპოვნოთ კაი მოხელეები.

მაშ რა ნაირი კაცები ამოვარჩიოთ, ეს უნდა მოვიხსენოთ. ჩვენ გვინდა ჭკვიანი, მართალი ადამიანისთვის თავგადადებული და გამჭრიახე კაცები.

ჭკვიანი კაცის საჭიროება ყველამ იცის. ქვეყანაზე ძვირფასი ჭკუისთანა არა არის რა. ჭკუა ბევრ გაჭირებიდგან გამოიყვანს კაცსა, ჭკვიანი კაცი ქვეყანას სიკეთით აავსებს, ჭკვიანი სხვასაც გააჭკვიანებს და ბევრ უბედურებისაგან გამოიხსნის. მაგრამ ჭკუასთან თუ კაცს სიმართლეც არა აქვს, კეთილი ხასიათი არა აქვს, ქვეყანას დააქცევს, მარტო თავის სიკეთეს და სიმდიდრეს ეძებს და სხვამ თუნდა თავი ქვასა ჰკრას არ ენაღვლება. მართალი კაცი ღარიბისა, ქვრივისა და ობლის მფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეელია, ყელამდის რომ ოქროში ჩასვა, გროშს არ დააკლებს, უსამართლობა ეჯავრება და ყველასაგან ნდობა აქვს, ყველა ერწმუნება. აი ამისთანა კაცია საჭირო სოფლისთვის.

რა სოფელი იქნება, რა ხალხი იქნება, რომ ამ გვარი მართალი კაცი არ იყოს. ამისთანა კაცი ღარიბებში უფრო ბევრია, მაგრამ ესენი გულით და სიკეთით მდიდარნი არიან. აი ამისთანა კაცებს უნდა ვერწმუნოთ. იმათ კი ნუ დაუჯერებთ, ვინც კარგი ლაპარაკი იცის სიმართლეზე, ავზე და კარგზე და ვინც სიტყვით ასეთ სიკეთესა გვპირდებიან, რომ ეს არის ჩვენი საქმე გაკეთდაო და ესენი იქნებიან კარგი მოხელეებიო. საქმით კი, ვინ იცის, რამდენი ღარიბისა, ქვრივისა და ობლის ქონება და მამული დაურბევიათ, რამდენი საწყალი დაუჩაგრავთ და რამდენი უცხო კაცი და ნათესავი შეუწუხებიათ. არა, ამისთანა მატყუარი მოლაპარაკე კაცები არ გვინდა. ჩვენ ისინი მოვინდომოთ, ვისაც ალალ-მართალი ლუკმა უჭამია თავისის ოფლითა, ვისაც თავისი სიცოცხლე სიმართლით გაუტარებია და ყელამდინ რომ ოქროში ჩასვა, ერთს არ დააკლებდეს. მაგრამ ბევრჯერ მოხდება, რომ კაცი მართალი სვინიდისიანი იყოს, მაგრამ შორს მხედველი ჭკუისა არ იყოს. ამისთანა მართალი კაცი არ გამოგვადგება იმიტომ, რომ ჭკუის პატრონი ავი ხასიათის კაცი იმას მოატყუებს თავის სარგებლობის გულისათვის. გაჭირებაში ხერხის მოგონება გაუძნელდება და ამით საქმე წახდება. რასაკვირველია, ისევ უსვინიდისო ჭკვიან კაცს მართალი კაცი უნდა ვირჩიოთ. მაგრამ ყველას ისა სჯობია, მოვძებნოთ ისეთი კაცი, რომ ორივე ღირსება ჰქონდეს: ჭკვიანიც იყოს და მართალიცა. მოხელე ჭკვიანი და მართალი კაცი გვინდა.

ამ ორ კარგ თვისებას უნდა გამჭრიახობაცა. საქმეში გამჭრიახობა დიდი საქმეა. ბევრი ჭკვიანი კაციც ვიცით და მართალიცა: საქმე აქვს რამ გასაკეთებელი, დღეს ხვალობაზე აგდებს საქმესა, ჰა დღეს გავაკეთებო, ჰა ხვალაო; ამაობაში ერთიც ენახოთ, საქმე დატრიალდა და ჩაფუჭდა, ან თუ საქმეს აკეთებს ისე არ იწყებს, როგორც საჭიროა, ან არა და ერთ საქმეს რომ აკეთებს მეორე ეღარ გაუკეთებია. თუ ორივეს თავს უდებს, ვერ მოუხერხებია, თუმცა ცდილობს, მაგრამ ხერხი არ იცის, ოსტატობა არა აქვს. ამიტომ კიდეც გამჭრიახე, ხერხიანი, ხელჩქარი და მომარჯვებული კაცია საჭირო.

დიდი ხანია რუსეთის სოფლებში პურის მაღაზიებია გამართული, რომ ვინიცობაა შიმშილია, ან დაჭირება, იმ პურის მაღაზიებიდგან ხელი გაიმართოს და ბევრჯერ გაჭირვების დროს ძალიან შემწეობასაც აძლევს გლეხობას თუ სათესლეთი, თუ ისე პურათა. ამ გვარი პურის მაღაზიები ჩვენ სოფლებშიაც ზოგან გამართეს ამ ახლო ხანებში და საჭიროც არის, რომ ყველგან დაწესდეს ამისთანა მაღაზიები. ამას გარდა ზოგიერთ სოფლებში გლეხობა ფულსა ჰკრეფს სოფლის საზოგადოებაში თავისის ნება-ყოფლობითა და ბანკსა მართავს. ამ ბანკიდგან ვისაც გაჭირება ადგია ფულს იღებს ცოტაოდე სარგებლით და ხელს იმართავს. ესეც ძალიან საჭირო რამ არის ჩვენი გლეხობისათვის, რადგანაც ეხლა ძალიან ბევრნი ფულს დიდის სარგებლით იღებენ ვაჭრებისაგან და დიდ ვალში ვარდებიან. ბანკი ამ შემთხვევაში ძალიან უშველიდა სოფლის ხალხსა. ამას გარდა ძალიან საჭირო რამ არის შკოლების გამართვა; ამას ლაპარაკი აღარ უნდა, ჩვენმა გლეხმა ძალიან კარგათ იცის, რომ წიგნის ცოდნა ძალიან საჭიროა და თუ წელში გამაგრდა, შკოლის გამართვაზე უარსაც არ იტყვის.

მაგრამ პურის მაღაზიის, ბანკის და შკოლის გამართვას კაი მოთავე კაცები უნდა. თუ არ ქვეყნის სიკეთის მოსურნე კაცი, ქვეყნისთვის თავგადადებული ამისთანაებში არ გამოდგება. სოფლის სიკეთის ზრუნვა მოხელეების მოვალეობაა, და ზემოთ რომ მოვიხსენეთ, მოხელეებიც იმისთანა საქმის მოთავეები უნდა გყვანდეს. მოხელეები სოფლისთაიის თავგადადებულები უნდა იყვნენ, სოფლის სიკეთეს და თავის საკუთარ სიკეთეს არ უნდა არჩევდნენ, როგორც თავისი თავისა და ცოლშვილის სიკეთე სურთ, სოფლის სიკეთეც ისე უნდა ჰსურდეთ. ღარიბისა და ობლის მფარველნი უნდა იყვნენ. არამც თუ ღარიბისა, მდიდრისაცა, რომ უსამართლობით გროში არავისი არ დაეკარგოს, არავის არ წაერთვას, არავინ არ დაიჩაგროს. — ამისთანავე პატიოსნობა, რიგიანობა, წესი და სიფაქიზე უნდა ჩამოაგდონ სოფელში. სახელმწიფო ხარჯი წესით და სიმართლით მოაგროვონ და კანონი რიგიანათ აასრულონ. ამისთანა კაცი სოფლისარვის მზრუნველათ უნდა იყოს, სოფლის მოხელე ამისთანა კაცი უნდა მოვძებნოთ და ამოვარჩიოთ.

აი ეს ოთხი თვისებაა საჭირო, რომ კაცი ამოვარჩიოთ: მოხელე უნდა იყოს ჭკვიანი, მართალი, გამჭრიახე და სოფლისთვის მზრუნველი, თავგადადებული.

(შემდეგი იქნება).

---

## რანაირათ შეიტყობა ნიადაგის სიკეთე, ან რა და რა გვარია მიწა

ყველანი ხვნენ თავიანთ მიწას, მაგრამ ყველანი ერთგვარათ არა ხვნენ; ზოგი ღრმათა ხნავს, ზოგი მხოლოდ აჩეჩავს; ზოგი ხნავს რამდენჯერმე; ზოგი კი ერთჯერ. ასე სხვა და სხვა ნაირათ იმიტომ მუშაობენ, რომ ყველგან ერთი ნიადაგი არ არის! ზოგ ადგილას სახნავი პირი ძალიან ღრმა არის და ღრმათაც შეიძლება, რომ მოხნას; გუთანი ვერ დასწვდება ქვენიადაგს. ამ სიტყვაზე იქნება მკითხველი შედგეს და სთქვას ქვენიადაგი რა არისო. სამუშაო მიწა ორ პირათ იყოფება, ნიადაგი და ქვენიადაგი. ნიადაგი იმ მიწის პირს ეთქმის, რომელზედაც დავდივართ, რომელზედაც ამოდის მცენარე, ირღვევა და ლპება ყოველ-გვარი ლეში და დამჭკნარი მცენარე. ნიადაგია განსაკუთრებით ნოყიერი, რომლიდგანაც იღებს მცენარე თავის საზრდოსა: რა მიწის პირზედაც ნიადაგი ძევს, იმას ჰქვია ქვენიადაგი. ღრმა ნიადაგი არის მდინარის პირებზე, ჭალებზე და მთებს შუა სწორს ადგილებზე. თხელი ანუ მჩატე ნიადაგი იმყოფება მთის ფერდებზე და მთის სერებზე. გაზაფხულს ნიაღვრები და ლეშტერი ჩამორეცხენ ხოლმე სერების ნიადაგს და მოჰფენენ ჭალებზე, ამიტომაც სერზეა მჩატე ნიადაგი. რამდენათაც უფრო ღრმა არის სახნავი პირი, ანუ ნიადაგი, ისა სჯობია, იმიტომ რომ პური უფრო სქლად ამოდის, უფრო ბევრს საზრდოს იღებს იქიდგან; გოლვიანობაზე უფრო გვიან ხმება ეს მიწა და ზამთარსაც ისე ადვილათ არ გაჰყინავს.

დახნულ მიწაზე რომ პატარა ბელტო ავიღოთ და დავფხვნათ თითებშუა, დავრწმუნდებით, რომ ნიადაგში წვრილ წვრილი ქვებიც არის, ქვიშა და რბილი მიწაცა, ამასთანავე წვრილ-წვრილი ფესვებიც იპოვება. ყველა ნიადაგში ხომ თანასწორათ არ იქნება განბნეული ეს ნაწილები; ზოგში ქვიშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ქვები უფრო ბევრია, ზოგში კი რბილი მიწა და პაწაწინა ფესვები უფრო მეტია. მაგრამ ყველა ნიადაგში, ცოტაც არის, უეჭველათ იქნება რბილი მიწა და ქვიშა.

პატარ-პატარა ქვებს გარდა ველებზე დიდი ქვებიც არის; ეს ქვები მთიდგან ჩამოდენილს ღვრებს გაუბნევიათ იქა; ან ხვნის დროს ქვე ნიადაგიდგან ამოუგდიათ სახნისითა. ამისთანა ველების ხვნა უძნელდება ხოლმე მიწის მომუშავეს და სახნისი ხშირად უტყდება ხოლმე. ამას გარდა ქვები მზეში ხურდება ხოლმე და ართმევს მიწას სისველესა. ქვებს ქვეშ ბუდობენ ლოკოკინები, ჭიაყელები და სხვა ჭიებიცა. თუ კი ქვები ისე პატარებია, რომ ხვნას არ უშლის, ამისთანა ქვები ნესტიან და მძიმე მიწას კიდეც უხდება, ამიტომ რომ აშრობს. ქვებში ზოგი მაგარია, ზოგი რბილი და ადვილათ იფხვნება. რაც უნდა მაგარი ქვა იყოს, ადრე იქნება, თუ გვიან, ბოლოს მაინც თანდათან დაიშლება მზისა, ჰაერისა და წვიმისაგან და გადაიქცევა ან ქვიშათ, ან კირათ, ეს იმაზე ჰკიდია რიყის ქვა იყო, თუ კლდის ქვა; წყალს კი მიაქვს ქვიშა და თიხა. როგორც ერთი ქვა, მთელი კლდეებიც ისე თან და თან ირღვევიან და იშლებიან, მაგრამ ძალიან ნელა. მთელი ასი და ათასი წელი გაივლის, ვიდრე ერთი კლდე განაცრდებოდეს.

სახნავ მიწაზე მცენარის ფესვები და ღერები ლპებიან, შეერევიან მიწასა, ასუქებენ და შავს ფერს აძლევენ; ამიტომაც ამბობენ, რომ შავი მიწა ძლიერ ნოყიერიაო.

რადგან ქვები სხვა-და-სხვა ნაირნი არიან და წყალიც ნიაღვრობის დროს გადადის მინდვრებზე და სხვა-და-სხვა ადგილებიდგან წამოღებულს ლექსა, ქვიშას და მიწას ჰდებს ჭალებზე; ამის გამო ნიადაგიც სხვა-და-სხვა ნაირია სახითაც და ნაყოფიერებითაც. ნიადაგის ცოდნა და გარჩევა ყველა მიწის მომუშავემ უნდა იცოდეს, ამიტომ რომ უამისოთ არ შეუძლიან მიწის სიკეთის შესაფერად შეიმუშაოს და დათესოს მაზე იმისთანა ნამუშავარი და საკვები ბალახი, რომელიც უფრო ივარგებს იმ ნიადაგზე. მაგალითად ყოველმა სოფელმა იცის, რომ თიხიანი მიწა როცა სტირის და წყლიანია, მაშინ რომ დახნა, არ ვარგა; ქვიშიანი მიწა კი რაც უნდა სველი მოხნა, მაინც არა უჭირს რა.

მთქვათ გლეხს ეჭირა სამუშაოთ ქვიშიანი სამუშაო მიწა, რომელსაც ხნავდა სისველეში, მერე დაიქირავა თიხიანი მიწა და ჩატე მიწაზე ნაჩვევმა, თუ ამ თიხიანს ნიადაგსაც სისველეში დაუწყო ხვნა, მიწასაც გააფუჭებს და თვითონაც ვერრას ისარგებლებს. აი ამ შემთხვევისთვის არის გამოკვლეული წესები, რომლებითაც შეიტყობა რა და რა თვისებისაა ნიადაგი.

(შემდეგი იქნება).

## ყვანა ანუ მუცელში ფაღარათობა.

ხშირათა და თხლად მუცელში გასვლას, რომელსაც მოსდევს და უძლევს ნაწლევების კრუნჩხვა—ეძახიან ყვანას ან ფაღარათობას.

ყვანასთან თუ ციებაცა სჭირს, მაშინ ეძახიან—ციებიან ყვანას, და თუ ციება არა სჭირს—ეძახიან უციებო ყვანას. ყვანით ავადმყოფი სხვა და სხვა ნაირზე გადის მუცელში; ამის გამო ყვანა არის რამდენიმე ნაირი: 1) **მოუნელებელი**, როდესაც ტანში გასული მოუნელებელი საჭმლისა და სასმლისაგან შესდგება. 2) **ნაღველიანი**, როდესაც გასულში ბევრი ნაღველი ურევია. 3) **ლორწოიანი**, როდესაც ტანში გასულში ურევია ლორწოიანი ან ლოპოიანი სითხე. 4) **წყალ-წყალა**, თუ ტანში გასული ძალიან თხელია. 5) **რძის მსგავსი**, როდესაც ტანში გასული რძის გვარ ნოყიერ წვენსა ჰგავს. 6) **ბაყლიანი**, თუ გასული ჩირქ ნარევს მიემსგავსება. 7) **სისხლიანი**, როდესაც ტანში გასული სისხლიანია და მიემსგავსება სქ ლ ხორცის ნარეცხს. 8) **დამპალი**, თუ ტანში გასულს დამპალი თვისება აქვს.

თავი-და-თავი განსხვავება ყვანისა შესდგება იმაში, რომ ზოგჯერ სხვა ავადმყოფობისაგანა ჩნდება და ზოგჯერ კი თავის თავად. როცა ყვანა თავისთავად (ესე იგი სხვა ავადმყოფობისაგან არა)-ჩნდება, მაშინ ეძახიან პირველ-დაწყებითს. და თუ სხვა ავამყოფობისაგან გ ჩნდა ყვანა, მაშინ ეძახიან ნაწარმოებს.

### პირველ დაწყებითი ყვანის მიზეზნი.

პირველ დაწყებითი ყვანის შინაგანნი მიზეზნი არიან: 1) კუჭის სისუსტე, მომეტებული წყენა ნაწლევებისა, რომელიც ადვილად მოხდება ხოლმე მუცლის ან ნაწლევების ავადმყოფობის შემდეგ: ამის გამოყვანა ადვილად შეეყრებათ სუსტებსა და ნაზებს, და მეტადრე იმათ, რომელთაც მძიმე ავადმყოფობა სჭირებიათ. მ:გ: ანთება, ცხელება და სხვ. და დედაკაცებსაც მაშინ, თუ ძნელი მშობიარობა ჰქონიათ. 2) სიმსუქნე და ბევრ სისხლიანობა, რომლისა გამო ადვილად შეეყრებათ მსუქნებს, მოშვებულებს და იმათ, ვისაც ბევრი ნახველი და ნახოცი ამოსდისთ და ოფლიც ბევრი იციან. 3) ბევრი ნაღველა, რომლისა გამო იმათაც ადვილად შეეყრებათ ხოლმე ყვანა, ვინც სულ ჯავრობს. ნაღვლობს, ბოროტი ზნისაა.

პირველ-დაწყებითი ყვანის გარეგანნი მიზეზნი არიან: 1) ძნელად მოსანელებელი საჭმელი და სასმელი; ამ გვარ საჭმელებს ეკუთვნიან ლორწოიანი საჭმელები, თუ მომეტებული იხმარა კაცმა: ნაზუქის გვარი პური, თევზეულობა, დამტკბარი ან დამარილებული ხილი და მწვანილი, მსუქანი ან ზეთიანი საჭმელი, მაგ: ღორისა და ცხვრის ხორცი, ბლომა ზეთით შენელებული საჭმელი (რა ზეთიც უნდა იყოს—სულ ერთია), ერბოში ან ზეთში მომწვარი სოკო (უმეტესად მაწყინარია ის სოკო რომელიც ჭრელია და ძირიც ფუყო აქვს); აგრეთვე ყველა ტბილმაჟავე საჭმელი ან სასმელი, მაგ. თაფლით შეზავებული მჟავე სასმელი: ბოზა, თაფლით შენელებული პივო და სხვ; ცუდი ნაგუბარი, წამხდარი წყალი. 2) ნაწლევების შეციება, რომლის მიზეზით ყვანა ხშირად მოსდისთ ზაფხულში მიწის მუშებსა და მონადირეებს. 3) შემაძრწუნებელი გრძნობა: შიში, შეშინება, ჯავრობა და სხ. ამ გვარი. 4) შხამიანი რამის ჩაყლაპა.

ნაწარმოები ყვანის მიზეზი არის ათას გვარი ავადმყოფობა, და უფრო ხშირად სოფლელებს ყვანა მუცლის ჭიისაგან მოსდისთ.

ყვანას ადვილად გაარჩევს კაცი სხვა ავადმყოფობისაგან; გარნა რა ნაირია, ის შეიტყობა გარეთ გასულის ხასიათითა და სახით.

ყვანის წამლობა ორნაირია: დიეტიკური და ნამდვილი. დიეტიკური წამლობა ისეთი წამლობაა, რომ ავადმყოფს მოარიდებენ იმ მიზეზებს, რომელთაც გაუჩენია ავადმყოფობა. ამ გვარი წამლობა ყვანისა შესდგება შემდეგში:

1) ვისაც კუჭის სისუსტისა გამო ან ნაწლევების წყენისა გამო ყვანა ხშირად შეეყრება (უბრუნდება), ხოლმე ის უნდა მოერიდოს ზევით აღწერილ ყვანის გარეგან მიზეზებს, ესე იგი: არ იხმაროს ძნელი მოსანე-

ლებელი და მაწყინარი საჭმელი და სასმელი, შეციებას გაუფთხილდეს, სინესტეს მოერიდოს, ყველა ძლიერ გრძნობას გაუფთხილდეს, მაგ: შიშს, შეშინებას, ჯავრობას და სხვ.

2) როდესაც დრო გამოშვებით შეეყრებათ ხოლმე ყვანა, თავისთავად, უმიზეზოდ, დანიშნულ დროს, სახელდობ: გაზაფხულზედა და უფრო შემოდგომაზედ ხოლო ყმაწვილებს კბილების ამოსვლის დროს, ამისთანა ყვანა არც საშიშია და არც უნდა შეწყვიტონ. ამისთანა ყვანა კაცს იმიტომ დაემართება ხოლმე, რომ ბუნება ცდილობს რაც სხეულში უსარგებლო და მეტი ნივთები აქვს კაცს, სულ ერთიანად გაყაროს გარეთ. ეს არის ბუნების მზრუნველობა, რომ კაცისგან განარიდოს ყოველი უწესო მდგომარეობა და იმის სხეული სიმრთელით შეინახოს.

3) Ისევე უნდა ვსთქვათ წყალ-წყალა ყვანაზე, ან მუცლის ლითილზე, როდესაც ის წარმოსდგება არა თუ საჭმლის მოუნელობისაგან, ანუ მაწყინრობისაგან, არამედ ისე, თითქოს უმიზეზოდ, ან საჭმლის რიგზე დაულეჰობისაგან,—ამისთანა ყვანასაც წამლობა არ უნდა და არც თუ მორიდება რამე (დიეტა); მუცელკეთილი ავადმყოფობა არ არის, არამედ ის საშუალებაა, რომლითაც სხეულს უნდა გაიცალოს უსაჭირო ნივთები და მოუბრუნოს კაცს მადა. მაგრამ თუ წყალ-წყალა ყვანა საჭმლის მოუნელებლობისაგან წარმოსდგა ან განაწყენებისაგან და ბევრის ჭამისაგან მაშინ საჭიროა მორიდება. Არ უნდა ჭამოს ხორცეულობა, უნდა იხმაროს რამე ფაფა ან ფლავი (ხორბლისა აჭარისა ბრინჯისა, ან რამე მარცვლის) ერთი ან ზეთით, რძით კი არ შეიძლება, აგრეთვე ყველა ფქვილიანი საჭმელი და მწვანილეულიც მარგებელია; ეს ყველა საჭმელი იქამდის უნდა იხმაროს, მანამ კუჭი არ შესუმბუქდეს, არ მოიბრუნოს ძალა და მადაც არ დაბრუნდეს. მუცელკეთილმა მალე იცის მოშორება, ბევრი რომ გასწიოს ერთს ან ორ დღეს. Თუ ამაზედ დიდხანს გასწია, მაში უთუოდ ავადმყოფობის მიზეზი ექნება რამე და უნდა ეცადნენ რომ ეს მიზეზი მოარიდონ.

4) Საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ, ყვანა როგორიც უნდა იყოს მანამ არ შეიტყობენ რა მიზეზებისაგან არის, მანამ არ უნდა დაუწყონ წამლობა. Ხოლო როდესაც მიზეზს შეიტყობენ მაშინ ყურადღება უნდა მიაქციონ საჭმელებს და ზოგი იმათგანი უნდა დასთმონ, ვიდრე კუჭი არ გამოერდება. Ჯერ ფაფები უნდა ჭამონ ურძეოთ კი, ამასთან ფაფა გამომშრალი სჯობია, სქელი) შეიძლება, ცოტა შემწვარი ხორციც აძლიონ ავადმყოფს, აგრეთვე ცხვრის თავფეხის ნახარში (თბილი), სასმელად კი შვრიისა, ან ქერის წყალი ახმარონ; თუ ამით ავადმყოფობა არ მოეშვას, მაშინ სასტიკი მორიდება არის საჭირო; მაშინ ხორცეული სულ უნდა აუკრძალონ; და თუ ამანაც არა უყოსრა—ნამდვილ წამლობას უნდა მიჰყონ ხელი.

5) Თუ ყვანა შეციებისგან არის, მაშინ სითბოც საჭიროა, უნდა თბილ ოთახში იყოს ავადმყოფი, თბილი წყლით უნდა იბანოს ხელ-ფეხი და წვივები, მუცელზე უნდა შემოიხვიოს მაუდი ან თივთიკის შალი და ამასთან ოფლის ჩაი და სხვა ოფლის მომგვრელი წამალი უნდა დალიოს.

6) Თუ ყვანა შეძრწუნებული გრძნობისაგან არის, შიშისაგან ან ჯავრობისაგან და სხვ. მაშინ დამშვიდებული მდგომარეობა და მხიარულობა არის საჭირო.

7) Თუ ყვანა მხრწნელი, ან შხამიანი, რამის ჩაყლაპისაგან არის, მაშინ უნდა ლორწოიანი სასმელები ასვას, მაგალითად: შვრიისა ან კვერცხის ცილიან წყალს უნდა მიუმატონ სელისა, ან ზეითუნის ზეთი, ან ნუშისა და ის ასვას: აგრეთვე კარგი იქნება მარტო მსუქანი წვენი დაალევინონ, რომ შეასუსტოს შხამის მომწამლავი თვისება და ან პირიდგან ღებინებით ან გაძლიერებული ფაღარათობით გაანთავისუფლონ კუჭი იმისგან.

8) Თუ ნაგუბარი წყლისაგან დაემართოს ყვანა, ან ტბისა და ჭის წყლისაგან, მაშინ უნდა მოერიდოს იმ წყალს, და თუ უკეთესი არა აქვსთ, მაშინ ის წყალი უნდა ჩაასხან პირგანიერ თიხის ჭურჭლებში და ერთი დღე ან დღე ნახევარი უნდა წმინდა ჰაერზედ დადგან და მერე დალიონ.

ნ ა მ დ ვ ი ლ ი  წ ა მ ლ ო ბ ა მაშინ უნდა ყვანას, როცა შეატყობენ, რომ თავისთავად არა რჩება და მორიდებამაც (დიეტამ) არა უშველა რა, ამასთან თუ ავადმყოფი სუსტდება, ერთის სიტყვით სჩანს, რომ ყვანას სარგებლობა არა მოაქსრა ავადმყოფობისთვის და მაწყინარი კი არის მაშინ თუ ექიმი ძნელი საპოვნელია, შეიძლება შემდეგი წამლები იხმარონ: თუ ყვანა ზაფხულში (უფრო მკათათვეში და მარიამობის თვეში დაემართა ვისმე შეციებისაგან, მაშინ კარგია, რომ ოფლი იდინოს ცხელ აბანოში, ან არა და შინ ისეთი რამე დალიოს, რომ ოფლის მომგვრელი იყოს, მაგალითად ნ ა მ ჯ ი ს ნახარში (ჩაი) გამხმარი ჟოლისა, ან ქონდრისა, ვარდკაჭაჭისა, დუდგულისა; აგრეთვე შეიშლება მუცელზე გამთბარი ტილო დაიდოს, ან მოშუშული ქატო, ქვიშა ან ნაცარი. Თუ ამ წამლობამ არა უშველოს რა, მაშინ უნდა შ ა ვ ი  მ ო ც ხ ა რ ი ს  მ ა რ ც ვ ლ ე ბ ი  გ ა მ ო ხ ა რ შ ო ნ და ის ასვან—მარცვლებიანად; გამოუხარშავი, რომ ჭამონ, გამხმარი მაინც ისეთივე მოქმედება ექნება, როგორც გამოხარშულს; (თიხის ქოთნებში უნდა მოხაშონ მოცხარი).

Თუ ყვანა მომეტებული ნაზლისაგან არის, მაშინ პირიდგან სასაქმებელი წამალი უნდა იხმარონ; პირიდგან სასაქმებელი იმითი ჰშველის, რომ კუჭში რაც ძნელად მოსანელებელი საჭმელია ან მეტი რამე-სულ გარეთა ჰყრის და ამით კუჭს თავის დონაზედ აყენებს. Სასაქმებელ წამლად კარგი იქნება სასაქმებელი ფესვი, იხმარონ რომელსაც აფთექაში ი პ ე კ ა კ უ ა ნ ა ს ეძახიან; ამ იპეკაკუანისა ერთი მისხლის მეოთხედი წმინდად დანაყილი უნდა გასხნას წყალში და დალიოს. Ამას შემდეგ ერთი ან ორი დღე რომ გაივლის, ნახევარი მისხალი რევანდი უნდა მიიღოს (წყლით) და მანამ ყვანა არ მოეშვება, მანამ ერთ დღეში ან ორ დღეში ერთხელ უნდა გაახლოს ხოლმე რევანდის მიღება, ჯერზედ ნახევარი მისხალი. Თუ ყვანა შემაძრწუნებელი გრძნობისაგან არის (შიშისაგან, ჯავრობისაგან და სხვ.), მაშინ წამლობა ძალიან ფრთხილი უნდა. Იმისთანა ყვანას არც პირიდგან სასაქმებელი უშველის რასმე და არც ტანიდგან სასაქმებელი. Მაშინ ავადმყოფს უნდა აძლიონ ექვსს ან რვა საათში ერთხელ ათი ან თორმეტი წვეთი ლ ა ვ დ ა ნ ი (აფთექაში იყიდე) ერთ პატარა სტაქან მიწის-საკმელათი (ბალახია) ან გარეული პიტნით შენელებულ არაყში გარეული; ეს წამალი იქამდის უნდა აძლიონ, მანამ უკეთობა არ შეატყონ. Თუ ყვანა შხამიანი რისმე ჩაყლაპისაგან არის, მაშინაც ეს წამალი უნდა აძლიონ, მაგრამ ნაკლებად: ექვსი ან ათი წვეთი უნდა გაურიონ ლორწოიან სასმელებში და ისე ასვან ექვსს ან რვა საათში ერთხელ.

Თუ მუცლის ჰიისაგან მოუვიდეს ვისმე ყვა-

ნა, მაშინ ის წამალი უნდა იხმარონ, რა წამალსაც მუცლის ჭიისაგან მოსარჩენად ხმარობენ.

თუ ყმაწვილებსა სჭირთ ყვანა, მაშინ იმათი ტანში გასული ლორწოიანია, მწვანე ფერი აქვს, ძალიან მყრალია და ხან და ხან აჭრილია რძესავით; ამასთან მუცელიც უჭუჭყუნებსთ ხოლმე.

ყმაწვილების ყვანის მიზეზნი ხან და ხან გახდებიან ხოლმე დედები, ანუ ისინი, ვინც იმათ ძუძუს აწოებს; თუ დედამ ანუ ძუძუს მაწოვარმა მოჭარბებით ჭამა რამე მაწყინარი ან ძნელად მოსანელებელი საჭმელი, ან თუ ამათ სჭირთ ყაბზობა ან ყვანა, ან თუ ჯავრობენ და ნაღვლიანები არიან, მაშინ ყმაწვილს, რომელიც იმათ ძუძუსა სწოვს ადვილად დაემართება ხოლმე ყვანა; აგრეთვე ყვანის მიზეზი ისიც გახდება ხოლმე, რომ ყმაწვილი ნაწოვარ რძეს ძნელად ინელებს, ან გაურეცხავი კოტოშით აწოვებენ რძეს. მოზდილ ყმაწვილს ყვანა შეეყრება მაწყინარი ან ძნელად მოსანელებელი და მოჭარბებული საჭმლისაგან. 2) თუ ბანების შემდეგ ნოტიო ან ცივ ალაგას დააგდეს, მაშინაც დაემართება ყვანა.

ყმაწვილების ყვანის მოსარჩენად ყველა წამალს ის ემჯობინება, რომ მოარიდონ ყმაწვილს მაწყინარი მიზეზები. ამისათვის ვინც ძუძუს აწოვებს, უნდა ცდილობდეს, რომ არაფერი არ სჭამოს მოჭარბებით, და არც ძნელი მოსანელებელი რამე. აგრეთვე უნდა დამშვიდებული იყოს და ეცადოს, რომ არ გაიშფოთოს გული, თორემ რძე გაუფუჭდება და ავნებს ყმაწვილს; მანამ ყმაწვილი არ მოიზდება, არაფერი არ უნდა აჭამონ რძის მეტი, არც ტკბილი რამე, არც მსუქანი და არც მწვანილეული; შეციებასა და სისველეს უნდა მოარიდონ, რძის კოტოში უნდა კარგად გაურეცხონ ხოლმე, არც დამჟავებული რძე უნდა აჭამონ. არა თუ ჩვილებს, მოზდილებსაც კი უნდა მოარიდონ ძნელად მოსანელებელი საჭმელი, მოჭარბებითაც არაფერი არ უნდა აჭამონ. თუ ყმაწვილს კიდეცა სჭირს ყვანა, მით უფრო უნდა ფრთხილი იყვნენ და ეს ნათქვამი მორიდება იქონიონ. მაგრამ თუ არცარა გაფრთხილებამ უშველოს და არც მორიდებამა, და ყვანამაც თუ უფრო და უფრო დაასუსტოს ყმაწვილი, მაშინ წამლობას უნდა მიჰყოს ხელი. თუ ყვანის მიზეზი კუჭი იყოს, მაშინ ყმაწვილს ერთი ან ორი ჩაის კოვზი *რევანდის სიროპი* (აფთიაქში ჰყიდიან) უნდა დაალევინონ, ერთი კოვზი დილით და ერთის ღამე, ძილის წინ. მაგრამ თუ ამ წამალმა არ არგოს და ყმაწვილი მწვანეზე და თითქოს დაჩქლეთილზე გადიოდეს, მაშინ კარგი იქნება, რომ რევანდს მაღნეზია (აფთიაქში იყიდე) ან დანაყილი ნახშირი გაურიონ და ისე დაალევინონ (ყმაწვილებისთვის დღეში ექვსიდგან რვა ქერის მარცვლის წონამდე, და მოზდილებისთვის მეტი). ყვანის მიზეზი თუ შეციება არის, მოზდილ ყმაწვილს ოფლის ჩაი უნდა დაალევინონ, მაგ. ცაცხვისა ან დიდგულის ჩაი, რომ ოფლი ედინოს კარგა; და თუ ძუძუთა ყმაწვილებსა სჭირსთ ყვანა შეციებისაგან, მაშინ ვინც ავადმყოფ ყმაწვილს ძუძუს აწოვებს, იმან უნდა დალიოს ოფლის ჩაი და ყმაწვილი კი თბილ წყალში უნდა ჩააწვინონ, მერე მუცელზე მაუდი ან თივთიკის შალი უნდა შემოადონ და ფეხები თბილ წყალში დააჭერინონ. მოზდილი ყმაწვილებისთვის აგრეთვე მარგებელია *პანტისა ან შავი მოცხარის ნახარში*; ეს ნახარში ავადმყოფს დღეში სამჯერ ან ოთხჯერ უნდა დაალევინონ, ჯერზე ნახევარ სტაქანი. აგრეთვე კარგია *შავი პურის ორცხობილა* (გამხმარი პური). ეს უნდა აიღონ ექვსი მისხალი, სამი მისხალი რევანდი, ერთად დანაყონ წმინდად და დღეში ექვსჯერ მიაღებინოთ, ჯერზე ნახევარ მისხალი, ვარდკაჭაშის ნახარშში გარეული. *მოშუშული თივის ნაძირალა* და პიტნა რომ მუცელზე დაადონ — ყველა ნაირ ყვანას არგებს. აგრეთვე *თბილ წყალში ჩაწვენაც* ძალიან მარგებელია და ზოგჯერ თითქმის იმისმეტი არა ჰშველისრა ყვანას. კარგი იქნება, რომ ეს წყალი *პიტნისა ან თივის ნაძირალის* (ყვავილის) *ნახარში* იყოს. თუ ყვანამ ძალიან დაასუსტოს ყმაწვილი, მაშინ *ხბოსი და ცხვრის ფეხები* უნდა გამოხარშონ კარგად და იმ ნახარშში ჩააწვინონ ავადმყოფი. ეს ნოყიერი წვენი ღონეს მოჰმატებს ყმაწვილს და მაშინ ყვანაც ვეღარ დაიკლებს ავადმყოფს.

---

## სხვა და სხვა გვარი იხვი.

იხვი სხვა და სხვა გვარია, მაგრამ ჩვენ იმათზედ ვილაპარაკებთ, რომელთაც საიხვეში ზრდიან. ამათ შორის ვილაპარაკებთ სუსხურზედაცა, რომელსაც ოსმალურს იხვს ეძახიან; იმის მოშენება ჩვენში ადვილათ შეიძლება და კარგი სასარგებლოც არის. სუსხური შინაურს იხვზე უფრო ღონიერია და თითქმის იმაზე დიდი იხვიც ჯერ არა ნახულა იხვებს შორის. ამათთვის წყალი ძლიერ საჭირო არ არის, ამისათვის რომ ის იშვიათად ბანაობს; მაგრამ ხალისით დაფრინავს და დასასვენებლათაც ძლიერ მაღლა არა ჯდება. სუსხურ ძლიერ ადვილათ განირჩევა სხვა ბუნებითი იხვებთაგან. მამალს ბოლოზე აბურძგნული ბუნბულ[illegible] ორი არა აქვს, მამალს და დედ[illegible] ორივე ფეხები მოკლე და მსხვილი აქვს, ფრჩხილები კი მოკაუჭებული და გრძელი; ზემო ნისკარტი დაკბილული აქვს, უფრო და უფრო წვერისკენ გამწვეტებული და მრუდე; ფრთა თეთრია ანუ შავი და ბრჭყვინავს ლალის ფრად; მაგრამ ის კი არის, რომ ეს ორ გვარი ფერი ერთს და იმავე იხვს არაოდეს არ ექნება. სუსხურს ბოხი ხმა აქვს, და ისე წყნარი არის, რომ თუ არ გააჯავრეთ, მის ხმას ვერ გაიგონებთ; ის დაიარება აუჩქარებლათ და სიარულში ხან ერთ მხარეს გადადის, ხან მეორეს; ამისგამო ვიდრე ის გარეულათ არის, ადვილათ ადის ხეებზე. იმისი ხორცი კარგია და როგორც ამბობენ საჭმლის გემოს მცოდინარენი ძლიერ ძვირათ ფასობს; მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა იცოდეთ, რომ დაიკვლის თუ არა, მაშინვე კურტუმის ბოლოც უნდა მოაჭრათ და თავიც, ამისათვის რომ ამ ალაგებში იმასა აქვს ზღმურდლი, რომელიც ძლიერ აუგემურებს საჭმელსა. დანაშთენი ხორცი მისი ისე ტკბილია, როგორც ხორცი ნაბუშვარი იხვისა, რომელიც მისგან წარმოსდგება. გარეული დედალი იხვი უფრო მოსხმო მოლურჯო წინწკლებიანსა კვერცხსა სდებს, ვიდრე შინაური. ამას უყვარს ბუდის გაკეთება მივარდნილს ალაგს და აქ უფრო კარგათ გამოჩეკავს ხოლმე ჭუკებს, ვიდრე იმ ალაგს, სადაც კვერცხებსა სდებს; ის უფრო მეტხანს აზის ზევიდამ კვერცხებსა, ვიდრე შინაური; კრუხობის დროს ის დამწყდეულში არ უნდა ამყოფონ, იმ დროს უნდა მოაშოროთ ყველაფერი, რაც აჯავრებს და სიმყუდროვეს არ აძლევს, თუ სიმყუდროვე არ ექნა, ის დაუტევებს კვერცხებს და ალარც გამოჩეკს; კრუხობის დროს გვიან გვიან უნდა დახედოთ ხოლმე. პატარა ჭუჭულები დიდებზე უფრო წყლის მოყვარულნი არიან, მაგრამ წყალს მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინც უნდა მოარიდო, ამიტომ რომ, თუ ცოტა ოდნათაც არის წყალი ციეია, ჭუკები დაიხოცებიან. ოდნა სიცივე ჰკლავს ხოლმე ჭუკსა. შინაური იხვი ძალიან სუქდება, მაგრამ საზრდო ერთობ ბევრი უნდება. დედალი იხვი წელიწადში ორჯერ სამჯერ მოჰყვება კვერცხის დებას და თითოჯერ, ხუთმეტ-ხუთმეტს კვერცხსა სდებს. სუსხური ნაბუშარი ეწოდება იმისთანა იხვს, რომელიც წარმომდგარა სუსხურისაგან შინაურის იხვის ჰეპლეით, მისი ხორცი გემრიელია; ბევრს კვერცხებსა სდებენ მაგრამ კრუხათ კი არევარგანან, ამიტომ რომ თაბუშვარი სუსხური არ მრავლდება.

### ნიშნების აწერა, რომლითაც იცნობა დედალ-მამალი იხვი.

**შინაური იხვი.** მამალი იხვი დედალი იხვისაგან განირჩევა პატარა ქოჩრითა, რომელიც ბოლოზე აქვს; თავი ძლიერ ამწვანებული ფერისა აქვს; ფრთები ბჭყვინავენ, ვითარცა სარკე და კისერზე ერთი თეთრი; ზოლი აკლია ამასთანავე მშვენიერი ყირმიზი ფრთებით არის შემკული. შინაური და გარეული მამალი იხვები დედალზე უფრო დიდები არიან. ამასთანავე ისიც უნდა დავიხსოვნოთ, რომ მამალს, ყველა ჯიშის იხვებზე უფრო მშვენიერი ფრთები აქვს, ვიდრე დედალსა; დედალს უფრო ერთი ფერის ფრთები აქვს, ესე იგი რუხი გუმრალი და ლურჯი ფერი.

**სუსხურის ჯიში.** მამალი იხვი დედლისაგან განირჩევა თ·ვითა; იმას თავი მთლათ ტიტველი აქვს, გარედამ წითელი კანი გადაეფარება თვალებამდის, და ნისკარტის ბოლოზე წითელი მეჭეჭი აქვს, რომელიც ალუბლის მარცვალსა ჰგავს, უკანა მხარეს მამალს იხვსა აქვს ჩამოშვებული ქოჩორი. მამალი დედალზე უფრო პატარაა, და არც არაფერი მეჭეჭი აქვს ნისკარტის ბოლოზე.

### კვერცხის დება.

იხვი იანვარს გასულს იწყებს ხოლმე კვერცხის დებას, და ორ დღეში ერთხელ აუცდენელათ სდებს: ერთს მოქცევაზედ ათს, თუ თხუთმეტს კვერცხს აძლევს პატრონსა. თუ კვერცხებს გაფრთხილებით და თითო თითოთ ამოაცლიან საბუდრიდგან, ასე რომ ვერ შეიტყო, მაშინ იხვი აკრუხებამდის სამოც კვერცხსაც დასდებს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ საბუდარში ერთს კვერცხს მაინც არ შეარჩენენ, იხვი საბუდარს თავს დაანებებს და სხვაგან სადმე გამოჩეკს ჭუჭულებს; ვისაც სურს, რომ იხვმა კვერცხი ადრე დასდოს, იანვრიდგან ფშვერია უნდა აჭამოს. კვერცხის სადებლათ მოქცევა იხვისა იმითი შეეტყობა, რომ ნისკარტით ბუმბულებს გროვებას დაუწყებს ბუდეს გასაკეთებლათ. რაწამსაც პატრონმა ეს შენიშნოს, მაშინვე უკან უნდა სდიოს, კვერცხის დება მიმალულს ადგილას იცის განსაკუთრებით ჭაობში და ჯაგებში.

იხვი თბილს ადგილას უნდა დასონ კვერცხებზედ, რომ სინოტიემ კვერცხები არ გაალაყოს; საცა ის ზის, იქ სიჩუმე უნდა იყოს. თუ კვერცხები კარგს ადგილას არ უწყვია, თაგვები და დედოფალაები შეუჭამენ. ზოგჯერ თვითონ იხვიც გამოსწუწნის ხოლმე თავის კვერცხებს. თუ უნდათ, რომ იხვმა საბუდარზედ გული არ აიცრუოს, იმ ადგილას ნაკმაზი უნდა უყარონ, ბზე და ჭინჭარი გაუშალონ, ჭინჭრის სუნი იმას ძრიელ უყვარს. საბუდარი მრგვალი უნდა იყოს, რომ კვერცხები ფრთებს ქვეშ მოიქციოს. როდესაც იხვი საბუდარს შეეჩვევა და კვერცხებს დებას დაუწყებს, ნაკმაზი იქვე უნდა დაუყარონ და წყალიც იქ რითიმე დაუდგან, ასე რომ კიდეც იბანოს. თუ იხვმა ერთი კვერცხი სადმე დასდო, სხვებსაც სულ იქ დასდებს. ამისათვის იხვს პირველათ კვერცხის დადების დროს ძრიელ უკან დევნა უნდა. იხვი კვერცხს ან ღამე დასდებს, ან დილით ადრე; ცხრა ათ საათამდე ამ დროს გარეთ არ უნდა გამოუშვან. გარეულმა იხვმა კვერცხის დება ჭაობების და გუბეების პირებში იცის, სადაც ლერწამიანი, ანუ ხშირი და მაღალი ბალახიანი ადგილია. გარეული იხვის კვერცხები თუ ვინმე იპოვნის, შეიძლება შინაურს იხვს, ქათამს ან ინდოურს შეუწყოს გამოსაჩეკლათ. გარეული იხვის ჭუჭულები ძრიელ გემრიელი საჭმელი არიან. იმათ გაზრდა ისე უნდათ, როგორც შინაურს იხვებს, მაგრამ როცა დაიზრდებიან ფრთები უნდა შემოაკვეცონ, თორემ გაფრინდებიან.

### იხვის კვერცხები.

იხვის კვერცხი ქათმის კვერცხზე დიდი ალარ არის; გული მოშაო აქვს; ნოყიერია, მაგრამ ცოტა გემრიელი ვერ არის. იხვის კვერცხები ნაზუქში და სხვა გვარათ გამამცხვარ პურში უფრო გამოდგება სახმარებლათ. სამზარეულოში შეიძლება იხმარონ, მაგრამ იმის ერბო კვერცხი გემრიელი არ არის და ცილაც მაგარი არა აქვს, რძის ფერია.

---

### საწამლავები და იმათი თვისება.

### ბ. ჟანგარო.

### § 7.

ამ მადნეულით მოწამლა უფრო ხშირად მოუკალავი ჭურჭლისაგან მოხდება ხოლმე. (*) ამ შხამით მოწამლული გრძნობს სპილენძის მწვავე გემოს, ენა გაუშრება და წვას დაუწყებს, საყლაპავი მოეფხუწება, აუვარდება ბლოყინი, ღებინება, ან კიდევ ბლოყინს დააწყებინებს ამოსაღებინებლად და კი ვერ ამოაღებინებს. შემდეგ მოჰყვება კუჭის ტკივილი, საშინელი ჭვალი, ხშირი შავად გასვლა უკანტანში სისხლიანი. მუცელს შემოჰბერავს და მოჰყვება გულის შეწუხება, წყურვილი, წუხილი, ცივი ოფლი, თავბრუს ხვევა და თავის ტკივილი, თრთოლა, მანჭვა და დასასრულს სიკვდილი.

### § 8.

ამ შემთხვევაში მოწამლულის სიცოცხლის დაცვის საშუალება ისევ ის არის, რაც წარსულ მე 5 N ში მოვიხსენეთ დარიშხნით მოწამლულისთვის.

### გ. მაგრიბუკი (სულეიმანი)

### § 9.

მაგრიბუკისაგან მოწამლა შეინიშნება პირის სუსხით, წყურვილით, საყლაპავის შევიწროებით და წვით, წუხილით, კუჭის და ნაწლავების წვით, ამასთან მოჰყვება: გულის რევა და ღებინება სხვა და სხვა გვარი ნივთიერებით შეღებილი, ხან სისხლის ფერი, შემდეგ დაიწყება ტანში გასვლა და ძნელად შარდზედ გასვლა დასასრულს—ბნედა, სისუსტე, ძლივსლა სუნთქვა, ასოების თრთოლა, ცივი ოფლი, უგრძნობლობა, მანჭვა და სიკვდილი.

### § 10.

ღებინებას გარდა, კვერცხის ცილა და წყალში გახსნილი თეთრი პურის გული შეადგენენ შუამავლებას, რომ მოწამლულის სიცოცხლე დაიცვან ამ შემთხვევაში.

---

(*) ან კიდევ ცუდათ მოკალული ჭურჭლისაგან, რომელშიაც მჟავე საჭმელს დიდხანს გაუშვებენ ხოლმე მაგ. წუას, ან სხვა რამე ძრმიან ტკლაპიან და სხვა. საჭმელს, რომლის გამოც სპილენძეულ ჭურჭელში შხამი მაშინვე გაჩნდება.

### დ. სიმჟავეები.

§ 11.

მოწამლა აჯაფის ზეთით, უბრალო თეზაფის წყლით და ოქროს დამადნობელი თეზაფის წყლით, დაჰბადებს მოწამლულში მჟავე და მწვავე გემოს, დიდს ყელის კუჭის და ნაწლავების, ტკივილს, ხშირად სისხლის ღებინებას (რომელშიაც თეთრი მიწა რო ჩაყაროთ მაშინვე შიშინს დაიწყებს სლოკინს. მოჰყვება უკან სისხლზე გასვლას, მუცლის ტკივილს, რომლის გამოც შეხება და მოძრაობა შეუძლებელია; ძლივსღა სუნთქავს, ცივი ოფლი სდის კრუნჩხავს და თუ დროზედ შემწეობა არ მიეცა მოკვდება.

§ 12.

ამ შემთხვევაში სიკვდილისაგან დასხნის საშველი საშუალება არის ღებინება შემდეგი საშუალებაებით: ან ქათმის კვერცხის ოდენა საპნის ნაჭერი აილოთ, ან ორი მუჭა ნაცარი, ან ერთი ჩაის ფინჯანი დანაყული თეთრი მიწა (მელი) აურიოთ ერთი ბოთლი თბილი წყლით და ასეათ მოწამლულს სამ წამში ერთხელ ნახევარ წაის ფინჯანი, რომ ღებინება ჩქარა აუვარდეს, ამისთვის უნდა ფრთა ჩაუყოთ ყელში.

§ 13.

როდესაც კარგა ბლომად ამოაღებინებს, და ამ ამოღებინებულში თეთრი მიწა რომ შიშინს აღარ დაიწყებს, მაშინ უნდა ლორწოიანი სასმელი ასვათ, მაგ. შვრიისა, ქერის და ან სელის თესლის ნახარში, შვრიის მჟავე ფაფა, ზეთი კანაფისა, ხაშხაშისა და სხვა.

### ვ. მინა ანუ ჰიქა.

§ 14.

ეს მოწამლა იმისგან წარმოსდგება, რომ უბრალო ხალხი უცოდინარეობისაგამო დანაყილ ჰიქას წამლათა ხმარობს.

§ 15.

ამ გვარი საწამლავის გვამში მიღების შემდეგ, მეტადრე თუ ის წმინდათ არ არის დანაყილი, მოჰყვება ძლიერი ყელის, გულისკოვზის და მუცლის ტკივილის, რომელსაც სხვა გვარი ავადმყოფობაებიც მოსდევს.

§ 16.

ამ საწამლავის მავნებელი ძალის გასაუქმებლად, ჰიქის მიმღებს უნდა წყალში დასველებული პურის გული აჭამოთ, გარდა ამისა, აჭამოთ შორვა და ასვათ ქერისა, შვრიის მარცვლების და ან სელის თესლის ნახარში. საკმაოდ რომ დალიოს, უნდა ეცადოთ, რომ ღებინება აუტეხოთ ყელში ფრთის ღიტინით ან სხვა ზემოდ მოხსენებულ საშუალებაებით.

§ 18.

შეძლების და გვარად, მიღებულ ჰიქას რომ ამოაღებინებს გვამიდამ, მაშინ უნდა იხმაროთ ლორწოიანი და ზეთიანი გასაწმენდელი სასმელები შვრიის მჟავე ფაფა და სხვა.

---

## სამეცნიერო ამბები.

ანგლიასა და ოსტ-ინდოეთში სამედიცინო სტატისტიკამ ერთსა და იმავე დროს აჩვენას, რომ წვიმიანი ამინდი თუმცა ხველასა და ქარებიან ავადმყოფობას აჩენს, მაგრამ სიკვდილს კი ასუსტებსო. ლონდონის Lancet ამბობს, რომ ზაფხულის ყვანა, ხოლერა და სახადი დიდი წვიმების დროს უფრო სუსტათა მოქმედებენო. დოქტორმა ტრენგმა, ლივერპულის საქალაქო ექიმმა, თავის ხანგრძლივი გამოცდილებით გამოიკვლია, რომ რამდენიც წვიმა ნაკლებათ მოდის, იმდენი ყმაწ[...]ების ზაფხულის ყვ ნა ხშირდებაო. მაკფერსონმა ქალკუტაში ისივე გამოიძია ხოლერისაგან სიკვდილის შესახებ. ივლისში, აგვისტოში და სეკტემბერში ქალკუტაში უფრო უხვად მოდის წვიმა, ვიდრე სხვა თვეებში, და მაშინ ძალიან შემცირდება ხოლმე ხოლერისაგან სიკვდილი. ნიუ-იორკშიაც აგრეთვე წვიმის სიცოტავითა და სიბევრით ზომავენ სიკვდილის ძალას: რამდენიც წვიმა ცოტა მოდის, იმდენი უფრო ბევრნი იხოცებიან, და რამდენიც ბევრი, იმდენი ცოტა. დიდ ქალაქებში, უეჭველია წვიმას ამ გვარი მაცხოვლებელი თვისება უნდა ჰქონდეს, რადგან დიდი ქალაქების ჰაერი ყოველთვის შერეულია სხვა და სხვა ფაბრიკებისა და მყრალი ალაგების მომწამლავი ჰაერით; წვიმას ისეთი თვისება აქვს, რომ ჰაერს სწმენდავს და აახლებს, მაშასადამე მაწყინარიდგან—მარგებელსა ჰხდის კაცისთვის

—ერთი ამერიკის ჟურნალი ურჩევს ქანადის მცხოვრებელთ ტყის გაფრთხილებას და ამასთან საზოგადოდ განიხილავს ძველსა და ახალს ქვეყნებში ტყის მდგომარეობას და იმათი გაკაფვის შედეგებს. შეერთებულ შტატებში მხოლოდ ჩრდილოეთისკენღა დარჩომილა ბევრი ტყე, მაგრამ ახლა იქაც კი ზოგიერთგან დაუწყიათ სხვა ახალის დანერგვა. ისპანიაში სადაც ეხლა უდაბური მინდვრები და საბალახეებია, იმათგანი მომეტებული, როგორც გარდამოცემა ამბობს, უწინ მშვენიერი ტყეები და სახნავ სათესათაც ძალიან ნაქები მიწა ყოფილა. ფრანციაში 1669 წელშივე გამოიცა კანონი, რომელიც უკრძალავდა ნების დაურთველად ტყის მოჭრას და 1858 წ. კი ახლად გამოცემული კანონის ძალით თითქმის სრულებით აუკრძალეს ტყის ჭრა. ამ გვარი კანონის გამოცემის მიზეზი ის იყო, რომ ბევრ ალაგებში ტყის გაწყვეტისაგან არა თუ მარტო წყაროები და ნაკადები სრულებით დაშრნენ, არამედ ბევრგან მდინარეები და ზღვა ნელ-ნელა რეცხდა ნაპირებს (უწინ ტყეს) და რამდენიმე ხნის განმავალობაში ვაებართეულა მიწას სრულებით ჰნთქავდა, ან ნაყოფიერ ნიადაგს აცლიდა და იმის მაგიერ ქვიშასა და ხვინჭსა ჰფენდა ზედ. პლიმუტის ნავთ საყუდელი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ზღვისაგან ადგილის წართმევა მხოლოდ ტყის გაშენებით შეძლებულა. ადრე პლიმუტის ნავთ-საყუდელთან ყოფილა ერთი ტყით მოფენილი კუნძული. ეს ტყე რომ გაუკაფნიათ, ზღვას ნელ-ნელა ურეცხია ნაპირები, და ახლა იმ კუნძულისაგან მხოლოდ ერთი ვიწრო ხმელეთის ნაჭერიღა დარჩენილა, რომელიც დროს განმავალობაში სრულებით დაინთქება ზღვისგან, თუ ხელ მეორედ ზედ ტყე არ გააშენეს. ეხლანდელ დროში ანგლიასა და ირლანდიაში ტყე თითქმის სრულებით გაკაფილია, შოტლანდიაშიღა დარჩენილა. ფრანციაში მიწის მეხუთედი ნაწილიც ძლივს უჭირავს ტყეს. ევროპის რუსეთში, ამერიკის ჟურნალის ანგარიშით, ტყეს ნახევარი ალაგი უჭირავს, შვეციასა და ნორვეგიაში კი სამი მეოთხედი. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ტყის გაკაფვა ზოგიერთ ვაკე ალაგებში იმითია მავნებელი, რომ გზას აძლევს ქარს, რომელსაც ხშირად ქვიშა მოაქვს ხოლმე და თან და თან ჰფენს დათესილ მინდვრებზედ. (*)

---

## განმეორება.

— აწ რაც გკითხოთ, იმის პასუხი ერთი სიტყვით მითხარით ხოლმე.—ეს რა არის?—ქალამი.—ეს?—ჯოხი.—ეს?—საწერი ნახშირი (ამ სახით ჰკითხეთ თუთხმეტი, თექვსმეტი

(*) ტყის გაწყვეტის შედეგი—იხილე 1868 წლის „დროების“ 4-ზე ნომერში, სტატია: „კაცის გავლენა ბუნებაზე“

სხვა და სხვა ნივთის სახელი).—კალამს, ჯოხს, ნახშირს ქვას და სხვ. ამათ ყველას აქვთ თუ არა ერთი საზოგადო სახელი?—აქვთ. მაგათ ნივთს ან ყველას საზოგადოთ საგანს ეძახიან. კალამი ნივთია, ან საგანია ჯოხიც ნივთია ან საგანია; ნახშირსაც ნივთს ან საგანს ეძახიან. ერთი სიტყვით რაც რომ დედა-მიწის ზურგზე იპოება, ყველას საზოგადოთ ნივთს ან საგანს ეძახიან. მაშ რომ გკითხოთ, ეს რაარის?—თქვენ ასე მომიგეთ; ნივთია ან საგანია. ყმაწვილებო, ახლა გამიგონეთ. აქ რამდენი კალამია?—სამი.—რამდენი ჯოხია?—ორი.—რამდენი საწერი ფიცარია?—ერთი.—რამდენი კერაა?—ერთი.—რამდენი ლარია?—ორი.—რამდენი დავთარია?—სამი. მაშ ერთი, ორი, სამი შეიძლება სხვა და სხვა ნივთებათ იყოს. აბა მითხარით რა არის ეს ერთი ორი და სამი?—ეგეც საგნებია.—არა ეგენი საგნები არ არიან. მაგათ ეძახიან რიცხვსა. მერომ ვთქვა ორი და სხვა არა მიუმატორა, მაშინ იმით ვასახელებ რიცხვსა. ერთიც რიცხვია, ორიც რიცხვია და სამიცა. მაშ რომ გკითხოთ ეს რა არის? თქვენ უნდა მითხრათ რაც არის? და თუ ასე გკითხეთ ეს რამდენია?—უნდა მითხრათ რიცხვის სახელი.

მაგრამ რიცხვნი თავის თავად არ არსებობენ. იმას ვერც ვხედავთ, ვერცა ვგრძნობთ. ჩვენ იმას მაშინ ვპოულობთ, როცა საგნებს დავითვლით. ისინი გვაჩვენებენ, თუ რამდენი ერთგვარი საგანია ერთს ადგილას შეგროვებული. და რაც უფრო ბევრი საგნებია, იმდენათ უფრო ბევრია იმათი რიცხვი. ამისთვის ეს რომ არ ვიკითხო რამდენი საგანია მეთქი შემიძლიან ასე ვიკითხო: „აბა როგორ დიდია ამ საგნების რიცხვი? (მასწავლებელმა ამ სახით რამდენჯერმე უნდა ჰკითხოს მოწაფესა, რომ მიგებით დარწმუნდეს გაუგიათ თუ არა მასწავლებლის აზრი. აქამდის იცოდნენ რიცხვის განმარტება აი ამ ნაირათ:“ რიცხვია ერთეულების კრება. ამისთანა ახსნით ყმაწვილი სრულებით ვერაფერს გაიგებს).

მაგრამ თავის თავათ მაინც შეგვიძლიან დავასახელოთ რომელიმე რიცხვი ისე რომ თვითონ საგანი არ მოვიხსენოთ: ეს ანგარიშობაში ძალიან ადვილია. მაგრამ როცა მარტო რიცხვებით ვთვლით, მხედველობაში ყოველთვის საგნები უნდა გვქონდეს.

კოტე მომე ორი კალამი, სამი ჯოხი და ერთი ლარი.—კარგი მაშ შენ გაგიგონია და მიმხვდარხარ კიდეცა, რასაც გეუბნები. მაგრამ შენ რომ აქ არ ყოფილიყავ და მე დამჭირვებოდა იგივე საგნები, ამიხსნეს როგორ უნდა მოვქცეულიყავ?—კაცს გამომიგზავნიდით სათხოვნელათ. ვთქვათ შორს, სადმე, უცხო ადგილას სცხოვრებ. მაშინ წიგნს მომწერდით. ეგრეა; ვთქვათ მე ქუთაისსა ვარ და შენ თბილისში მინდა კალმებისა და კალმის დანების მიღება შენგან. აბა როგორ უნდა ჩამეწერა ბარათში?—ჯერ დასწერდით კალამს და მერე კალმის საჭრელ დანას). თუ იმ ყმაწვილმა წერა არ იცის, შეგიძლიანთ ეს ნივთები დაგეხატათ. ვთქვათ, ახლა მე მინდა სამი კალამი და ერთი კალმის დანა; მაშინ კალმს წინ სამ ხაზს გავავლებ; კალმის დანის წინ ერთს ხაზსა. რამდენსაც ვითხოვ, გაიგებ თუ არა?—დიახ. თქვენც ხომ გაიგებთ?—გავიგებთ—ვნახოთ. ახლა თითო თქვენგანმა დასწერეთ, წუხელი რამდენი ნივთი ვიყიდე?

მაგრამ ესეც რომ გითხარით, რაც ბევრი ნივთი იქნება, იმდენათ უფრო ბევრია იმისი რიცხვიცა: ამისთვის ხაზებით ამ საგნების აღნიშვნა რაღაც არ მოხერხდება კარგათ. მაგალითად იმ შკოლაში რამდენი ყმაწვილია? (რასაკვირველია სამზე მეტია, ბევრია). დავთვალოთ ერთი, ორი, სამი; ერთი, ორი, სამი, და სხვ. ხაზებით დავსწეროთ ესა; ხომ ხედავთ, როგორ ბევრი ხაზები დავსვით. თუ საგნები მეტი იქმნა, კიდევ მეტი ხაზებიც დასჭირდება. მაშ ამ რიგათ წერა ძნელია და არც მოხერხდება. ამისთვის ჭკვიანმა კაცებმა რიცხვის წერა სხვა ნაირი ნიშნებით მოიგონეს. რიცხვი ერთი აი, ამ ნიშნით იწერება: 1. ორი ასე იწერება:—2 და სამი—ასე 3. ამ ნიშნებს ეძახიან ციფრებს. შემდეგ როცა მეტი რიცხვი გეცოდინებათ იმათ ნიშნების წერასაც მაშინ დაგასწავლით, ახლა კი ამ ნიშნების ვარჯიშობაში გაატარეთ დრო.

შედგენა და აღრიცხვა ერთად ერთი ერთმანეთის გასწრებით. (ზეპირათ და დაწერით)-ორში ორჯერ რომელი რიცხვია? ორი რა რიცხვზეა ორჯერ მეტი?—რა რიცხვიდგან შეიძლება ორჯერ თითო წაირთვას და ერთი კიდევ დარჩეს.—ერთი რის ნახევარია? ის რა რიცხვია, რომელიც ერთზე ორით მეტია და ორზე ერთითა? რა რიცხვი უნდა გაარო, რომ ორი შეიქმნეს?—მე ვიცი იმისთანა რიცხვი, რომელიც ერთით მეტია. ის რა რიცხვია, რომელიც სამზე ერთით ნაკლებია და ერთზე ერთზე ერთით მეტი? ერთს რა რიცხვი უნდა მიუმატო, რომ სამი გახდეს. მიპოვნე იმისთანა რიცხვი, რომელიც ერთზე ორით მეტი იყოს? მიპოვნე რიცხვი სამზე სამით ნაკლები?—არაფერია, რომელსაც საზოგადოთ ეტყვიან ნულს (ეს არის ფრანცუზული სიტყვა და ნიშნავს არაფერს). როგორ იწერება ნული? აი ასე 0. იპოვნე ორის ნახევარი და სამის მესამედი. ეს რამდენს შეადგენს $3-1-1+2=$? $1:2+1-1=$? $3-2+1$ რომ გაჰყო $1=$? $1:3-2\times 1+2=$? და სხვ.

როცა ყმაწვილები სწორათ და ჩქარათ მიხვდებიან ამისთანა ტემებსა, მაშინ უნდა დარწმუნდეთ, რომ იმათ კარგათ დაუსწავლიათ რიცხვი სამი.

კოტე, ფიცარი რა არის? –საგანია.—სანთელი?—ისიც საგანია.—სამი რაღა არის?—რიცხვია;—კარგი. (მასწავლებელი სწერს ფიცარზე აი ამ რიცხვსა 2. ეგ რიცხვი ორია. მასწავლებელი სწერს ასოებით ქუდსა, ან თუ არა, დახატავს და ეუბნება მოწაფეს ეს რაღა არის?—ეგ ქუდია.—მაშ წაიღე ეგ ქუდი; მიჩუქებია.—ეს მართლა ქუდი კი არ არის სიტყვაა. ეგ კი მართალია; ეგ სწორეთ სიტყვაა, რომელიც ქუდს გამოხატავს. როგორც ეგ არის სიტყვა ქუდის გამომხატველი, ისე ეს არის 2, რომელიც ნიშნავს ორსა. 2 ეს თვითონ რიცხვი ორი კი არ არის, იმის გამომხატველი ნიშანია და ჰქვია ციფრი. ციფრი და რიცხვი უნდა გაარჩიოს კაცმა ერთი ერთმანეთისაგან. დასწერეთ რიცხვები ერთი, ორი, სამი რამდენჯერმე გამწკრივებით, ჯერ ხაზებით, მერე ციფრებით.

---

ერთი და ერთი რამდენია?—ორჯერ ერთი რამდენიღა?—ორი უერთოთ?—ერთი ორში რამდენჯერ იმყოფება?—დასწერეთ ეს ციფრებით და სიტყვები: და ჯერ, გამოაკლე იმყოფება-თავთავის შესაფერ ნიშნებითა.

მაგალითად: მიუმატე, და, იწერება ამ ნიშნით +

ჯერ, იწერება ამ ნიშნით ×

უ, გამოაკლე, იწერება ამ ნიშნით —

იყოფება იწერება ამ ნიშნით :

უდრის, შეადგენს, იწერება აი ასე =

$$1 + 1 = 2$$
$$2 \times 1 = 2$$
$$2 - 1 = 1$$
$$1 : 2 = 2$$

რაც ნიშნებით დავსწერეთ ზეპირათ ვთქვათ. შკოლაში რომ ასწავლიან ხოლმე ჰ სიტყვებს პლუს და მინუს; ესეები არ უნდა გააგონო ყმაწვილსა. რაკი ამ ნიშნებით დაწერილებს რამოდენმეჯერმე გამოთქმენ ყმაწვილები ზეპირათ, შემდეგ მასწავლებელი წაშლის და თვითონ ყმაწვილებს შეადგენინებს.

აი კიდევ ორი შედგენილი აღრიცხვა, რომელიც თქვენ უნდა გაათაოთ.

| | |
|---|---|
| | $2+1=$ |
| $1+1+1=$ | $1+2=$ |
| $3 \times 1=$ | $1\times 2+1=$ |
| $3-1=$ | $3-2=$ |
| $1:3=$ | $3-1=$ |
| | $2:3=1$ (1), ესე იგი ორი |

ორი სამში იმყოფება ერთჯერ და დარჩება კიდევ ერთი.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го мая 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.